<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2018 წელი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერის ირაკლი თოიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს იუნკერის ირაკლი თოიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=480804 Y=4629824
ირაკლი თოიძის ქ.
X=480899 Y=4629058
N
W
E
S
1:5,000

ქალაქ თბილისის საკრებულოს

სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

მოქალაქე ირაკლი სესიაშვილის

პ/ნ 01026002941

ტ 599556431

ქს. ქოჩხვარის [illegible] მეურნეობა

განცხადება

ქალბატონო თინათინ,

მოგმართავთ თხოვნით, მოახდინოთ 01.72.14.098.016 საკადასტრო ერთეულთან გამავალი უსახელო ქუჩის სახელდება.

ამასთანავე, გთავაზობთ რამდენიმე ვარიანტს აღნიშნული ქუჩის სახელის შერჩევისთვის.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ი.სესიაშვილი

შაქრო ქვლივიძე
24.05.1920 სახალხო გვარდია თბილისის გიმნაზიის მოსწავლე.
16 წლის მებრძოლი. მოხალისედ გაყვა სახალხო გვარდიას, მძიმედ დაიძრა აზერბაიჯანის ფრონტზე. გარდაიცვალა ლაზარეთში. დაკრძალეს საგარეჯოში.

ალფეს გოგუაძე- რეიდი მოაწყო ქუთაისში. ცნობილი მებრძოლი. ვალოდია გოგუაძის ძმა. არ წავიდა ემიგრაციაში. კომუნისტებმა მოკლეს სახლთან ტყიდან ღამით გამოსული.

ირაკლი თოიძე- მეთაურობდა იუნკერთა ოცეულს კოჯრიდან მოიერიშე რუსების უკუგდების დროს. დაიღუპა ტაბახმელას დასავლეთით მთის ფერდზე. სამხედრო სკოლის საინჟინრო განყოფილების კაპიტანი.

გიორგი კობეშავიძე -14.05.1918. არმიის XI პოლკი. პოლკოვნიკი. პროფესიონალი სამხედრო გიორგი კობეშავიძე პოდპორუჩიკის წოდებით ჩაება პირველ მსოფლიო ომში, იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე გერმანელების წინააღმდეგ, სადაც რამდენიმე ჯილდო დაიმსახურა და პოდპოლკოვნიკის წოდებას მიაღწია. 1917 წლის სექტემბერში დაბრუნდა სამშობლოში და აბასთუმნის დამცველი რაზმის მეთაურად დაინიშნა დაიღუპა ს. საროს (მესხეთი) დაცვის დროს ისლამისტებთან ბრძოლაში. წაასვენეს სიღნაღიდან და დაკრძალეს ბოდბეს წმ. ნინოს ეკლესიის ეზოში (კახეთი). http://legionerebi.com/armia1918/?p=961

პეტრე ლაღიძე (1874? – 06.03.1919) – ს. ხაშმის სახალხო გვარდიის მეთაური.

სახალხო გვარდიის გარე კახეთის ბატალიონის (შტაბი: საგარეჯო) ხაშმის რაზმის მეთაური პეტრე ლაღიძე გმირულად დაიღუპა 1919 წლის 6 მარტს ისლამისტებთან ბრძოლაში ახალციხის მიმართულებაზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრშეტევის დროს სერვერ ბეგის ამბოხებულების და "ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ.
რევოლუციის შემდეგ ერთ-ერთი პირველი იყო ვინც სახალხო გვარდია დაარსა კახეთში. იბრძოდა დუშეთის მაზრაში კომუნისტების, ბორჩალოს მაზრაში სომხების და ახალციხის ფრონტზე ისლამისტების წინააღმდეგ.

ვალიკო ჯუღელი,- 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.
1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით. იყო სამხედრო კომისიის წევრი. ლობირებდა სახალხო გვარდიას და ინარჩუნებდა მის შედარებით დამოუკიდებლობას გენერალური შტაბიდან..

1917-1921 წლების მანძილზე პირადად მეთაურობდა სახალხო გვარდიის დანაყოფების საბრძოლო ოპერაციებს და ყოველთვის იმყოფებოდა წინა ხაზზე, მეწინავე ნაწილებს შორის. გამოირჩეოდა დიდი სიმამაცით და ხარიზმით. 1921 წლის მარტში დაიჭრა ხელში სოფელ ოსიაურთან განხორციელებული კონტრშეტევის დროს.

1923 წელს გაგზავნეს საფრანგეთის ქ. ბელფორში მდგარ 35-ე ქვეით პოლკში დამატებითი გამოცდილების მისაღებად.
1924 წლის აპრილში ბენია ჩხიკვიშვილთან, გრიგილ ცინცაძესთან, ვასილ ნოდიასთან და ვიქტორ ცენტერაძესთან ერთად არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად. თავიდან ცხოვრობდა გურიაში და შემდეგ გადმოვიდა თბილისში, სადაც შევიდა დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო კომისიაში და დაიწყო აჯანყებისთვის ორგანიზება. იყენებდა ფსევდონიმს "ზურაბი".

1924 წლის 28 აგვისტოს დაიწყო ანტისაბჭოთა აჯანყება, რასაც დაპატიმრებულთა დაუყოვნებელი დახვრეტა მოჰყვა. ვ. ჯუღელი დახვირტეს, სავარაუდოდ, 30 აგვისტოს ღამეს 43 სხვა პატრიოტთან ერთად. მისი საფლავი უცნობია.

ლეიტენანტი შალვა გიგინეიშვილი (? – 02.07.1920)

1920 წლის 31 ივლისს ადიგენის რაიონის სოფელ მლაშიდან გოდერძის უღელტეხილისკენ დაიძრნენ არმიის IV ბატალიონის მეწინავე რაზმები, რომლებსაც უნდა დაეკავებინათ საწყისი პოზიცია გოდერძის უღელტეხილთან. ოპერაცია აჭარის საქართველოსთვის გადმოცემის ფარგლებში დაიგეგმა.
2 ივლისს მეტყვიამფრქვევეების და ქვეითების ოცეულმა, ლეიტენანტ შალვა გიგინეიშვილის მეთაურობით დაიწყო აჭარელი ისლამისტების მიერ დაკავებულ სიმაღლეზე იერიში. შეტაკება სამ საათს გაგრძელდება, მოწინააღმდეგე გაიქცა და ოცეულმა დაიკავა სიმაღლე. ერთი საათის შემდეგ მტერმა დიდი ძალებით შემოუტია რაზმს და ალყაში მოაქცია. ლეიტენანტი გიგინეიშვილი კარგად მართავდა დანაყოფს, პირადი სიმამაცით ამხნევებდა და გმირულად დაიღუპა ბრძოლაში. რაზმმი იბრძოდა ვაზნების გამოლევამდე და სრული შემადგენლობით ჩავარდა ტყვედ. 6 ივლისს ქართულმა დანაყოფებმა უბრძოლველად დაიკავეს აჭარის მთიანეთი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031813583**

თარიღი: **15.05.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ირაკლი სესიაშვილის 2018 წლის 17 აპრილის საქმე #19/031810791-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ე. წ. ქოშიგორას დასახლებაში უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.01.72.14.098.016).
როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).
გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181362194**

თარიღი: **16.05.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 15.05.2018 წლის #03-031813583 (15.05.2018წ. #19-01181353065-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი